



# მ წ ე მ ს ი

ო შ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ე ო შ ი ლ ე ბ ა .

უწილსი სინოდის სახაზინო სამმართველოსაგან.

პრევიის კრებულთა საყურადღებოდ და აღსასრულებლად.

1 მაის ამა 1894 წ. თავდება უკანასკნელი ვადა, რომლის შემდეგ აღარ შეიძლება სმარება და გამოცვლა ძველი სახის სასჯელმწიფო ქაღალდის ფულები 50 მან., 25 მან., 10 მან., 5 მან., 3 მან. და 1 მანეთიანისა, რომელნიც გამოცემულნი არიან უმაღლესი უქაზის ძალით 13 თებერვალიდამ 1868 წ. და აგრეთვე 25 მანეთიანისა, რომელიც გამოცემულია უმაღლესი უქაზის ძალით 20 ოქტომბრიდამ 1880 წ.

რომ აღნიშნული სახის ქაღალდის ფულის თავის დროზე გამოუცვლევლობით წარალი არ მიეცეს მკვიდრთ და ეს ვადაც სომ ძალე თავდება, სახაზინო სამმართველო დასამატებლად უკვე გამოცემული ცირკულიარული მიწერილობის მისი ძალად აღმატებულების უ. სინოდის ობერ-პროკურორისა 15 იანვრიდამ 1893 წ., № 677, მისი ძალად აღმატებულესობის მონდობილებითვე მოვალეებადა სთვლის სელახლად გაახსენოს პრევიის კრებულთ, განსაკუთრებით სოფლელებისას, რომ

მათ ყოველ შემთხვევაში განუძარტონ სამრევლოთ, რომ 1 მაისამდე ამა წლისა გამოცვალონ ხსენებული უწინდელი სახის ქაღალდის ფულები ახალში ადგილობით ხაზინებში, თორემ პირველი მაისიდან აღარ შეიძლება ხსენებული ფულების არც გამოცვლა და აღარც სმარება კემო პირთა შორის.




თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოსაგან.

უწმიდესის სინოდის 1894 წლის 31 იანვრის მე-457 №-რის ბრძანების თანახმად, ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა აუწყებს სემინარიის მოსწავლეთ, — პირველად იმას, რომ, სემინარიაში 1893 წლის 1-4 დეკემბრის მომხდარ უწყსოებისაგამო, ეს სასწავლებელი დაკეტილი იქმნება შემდეგ 1894/5 სამოსწავლო წლის დასაწყისამდე; მეორედ, ქვემოხსენებულ მოსწავლეთ, რომელთაც უწყსოებაში არაფითარი მონაწილეობა არ მაულიათ, ნება ეძლევათ, თუ ჰსურთ, ამავე წელიწადს რუსეთის რომელისამე სემინარიის ჯეროვანს კლასში შევიდნენ (მხოლოდ ერთ-ერთი ძველი ენა კი უნდა იცოდნენ) და, თუ ეს მოისურვებს, ამათგან იმათ, რომელნიც გაჭირვებულნი არიან, ფულად შემწეობაც მიეცემათ სემინარიის მმართველობისაგან: მე-VI კლასისას — ვიორგობიანს დაეითს, ვინოვს გრიგოლს, ჯაოშვილს ეპიფანეს, ფვიმოვს სიმონს, ზუბკოვსკის ლეონიდს, კასიმოვს სერგეის, კონოპლევს კონსტანტინეს, კრილოვსკის ტიმოთეს, ლაზარკევიჩს თედო-



რეს, ლუკიანოვს სერგოს, პარადიევს ივანეს, პოლო-  
ტოვს კოსტანტინეს, ფირცხალავას ბესარიონს, სო-  
კოლოვსკის იაკობს, თათარიშვილს კონდრატეს,  
ჩხორიძეს ეპიფანეს, ებანოიძეს პარმენს. მე-V კლასისას:  
აკატინოვს დავითს, თოხაძეს გიორგის, ყარბაშვილს  
ივანეს, ცინცაძეს კოზმას, სუხიაშვილს დავითს;  
მე-IV კლასისას: ანდრეევსკის ტიხონს, დათაძეს კოს-  
ტანტინეს, გლაგოლოვს ვლადიმერს, ჩაგულაშვილს  
გერასიმეს, ოქროპირიძეს მათეს, სემიონოვს გიორგის,  
სატიროვს ნიკოლოზს, რობიტაშვილს კონსტანტი-  
ნეს, დანოვსკის გიორგის, პოლიტოვს ნიკოლოზს,  
სემიონოვს აბრამს, იურასოვს ლეონიდს; მე-III კლა-  
სისას: ლამბროვს ვასილს, იზბაშს ალექსანდრეს,  
იაბლონსკის ვლადიმერს, ბერაძეს იათეოზს, ვასილი-  
ევს ნიკოლოზს, პოპოვს ალექსის; მე-II კლასისას:  
ოზნესენსკის პავლეს, ზაქხევეს ლეონიდს, კუბალოვს  
გიორგის, მიხაილოვსკის ალექსის, ობრასკოვს კოს-  
ტანტინეს, კენდროვს-პოლიანსკის ვასილს, ლომიძე  
ალექსანდრეს, ვოსკრესენსკის გრიგოლს, სემიონოვს  
ვიქტორს, კასიმოვს კონსტანტინეს, ნაზაროვს პეტრეს,  
პარასკევაშვილს მიხეილს; I-ლ კლასისას: ორონინს  
სერგოს, ანტონენკოს ივანეს, კუბალოვს ივანეს,  
მახათაძეს გრიგოლს, სემიონოვს მიხეილს, რატანს  
ვლადიმერს, რამიშვილს ყარამანს, ნახუტკის შვილს  
გრიგოლს, ალექსიუშინს დიმიტრის, ანდრეევსკის  
ივანეს, ბოგატიევივს ვლადიმირს, ბრიხნიჩნევის იონას,  
გლეგობოვსკის თეოდორეს, გომაყენკოვს სერგოს,  
კასაევსკის ანატოლს და პეტროპავლოვსკის ალექ-  
სანდრეს. მესამედ, მოსწავლენი, რომელთაც დიდი  
მონაწილეობა მიუღიათ უწყსოებებში, სახელდობრ:  
მე-VI კლასისას—აღლაძე ილარიონი, ახალშენიშვი-  
ლი ივანე, გოგსაძეს სპირიდონი, ლოსაბერიძე, დომენტი,  
მელაძე ბესარიონი, ფანჯაქიძე პარფირე, მკედლი-  
შვილი თამა, ტროპაიძე კაპიტონი, ცაგარელი ვლა-  
დიმირი, ცინცაძე იაკობი, დოლიძე ბესარიონი, ნა-  
დირაძე ანდრია, სოლოლაშვილი ალექსანდრე; მე-V  
კლასისას: არველაძე კირილე, ახმეტელაშვილი დავი-  
თი, ყიფშიძე პარმენი, არევილიშვილი ნიკოლოზს,  
მხეიძე ნოე, ფანჯაქიძე როდიონი, ხუნდაძე ლუკა,  
აღშობაია ვასილი, ბოჭორიშვილი არტემი, დავითა-  
შვილი პეტრე, ჯუღელი პროკოპი, ყანჩაველი მე-  
ლიტონი, ქელბაქიანი სიმონი, ლაშხაური ვლადიმი-  
რი, მესხი ვლადიმირი, ახაიძე სამსონი, ოდეგაძე  
კარბი, მუსერიძე ალექსანდრე, ტროპაიძე ტარასი,

ხუციშვილი გიორგი, მუსერიძე ბათლომე, ჭალაგა-  
ნიძე პეტრე, ჩაჩანიძე სოლომონი, ჩიკვიძე ვასილი,  
ჩივაძე გრიგოლი, შოშიაშვილი გიორგი, ჩიკვილაძე  
სიმონი; მე-IV კლასისას: აბესაძე აქესენტი, გაფრინ-  
დაშვილი ერმალოზი, გელევიშვილი გიორგი,  
კოლაძე სამსონი, ყანჩაველი იოსები, ლეყვა  
ბენექლიძე, სულხანიშვილი ნიკოლოზი, ჩხაიძე  
დომენტი, აბესაძე ევლეთერი, არაგვიშვილი ალექ-  
სანდრე, კაპანაძე იახონ, ლეთისავარიშვილი სიმონი,  
მამინიშვილი გიორგი, მარგანი ივანე, ოძიარენკო  
თეოდორე, ფანჩულიძე მიხეილი, ფანჩულიძე პან-  
ტელეიმონი, ხუციაძე კონსტანტინე, ჩელოძე სიმონი,  
თუთბერიძე ვალაკტიონი, პასენიკოვი მიხეილი;  
მე-III კლასისას: კეცხოველი ვლადიმირი: ჯუღელი  
სევერიანი, მაჭუვარიანი კონსტანტინე, კოსტავა ისი-  
დორე, ფხაკაძე ექვთიმე, ნადირაშვილი ნიკოლოზი,  
კალატოზიშვილი ივანე, ბარათაშვილი ვიქტორი,  
გოგობია ალექსი, მალალაშვილი ნიკოლოზი, ჩხენ-  
კელი აკაკი; მე-II კლასისას: ოქროპირიძე მოსე,  
ენუქიძე ვიქტორი, ალექსანდროვი მიხეილი, ბერძუ-  
ლი მიხეილი, დოგონაძე ალექსანდრე, ხახანაშვილი  
კონსტანტინე, ხუნდაძე გაბრიელი; I-ლ კლასისას:  
შველიძე თეოფანე, არსენიშვილი იერონიმე, ჩომა-  
ხიძე იონა, ჭრელიშვილი ვასილი,—გამორისხულ  
იქმნენ სემიონარიდგან, ჩამოერთვით უფლება სწავლის  
გასაგრძობად სხვა სემინარიებში შესვლისა და აღე-  
კრძალათ ქალაქ თბილისში ყოფნა. მეოთხედ; ყველა  
იმ მოსწავლეთ, რომელნიც მოხსერებულნი არ  
არიან ამ ნუსხაში, ნება აქეთ ფოსტით მ. რექტორის  
სახელობაზედ ამა წლის პირველ მაისამდე განსაკუთ-  
რებული თხოვნანი წარმოგზავნონ სემინარიაში  
შესვლის შესახებ. შემოხსენებულ გამორიცხულ მო-  
წავეთა საბუთის ქაღალდები ამ მოკლე ხანში გაეგ-  
ზავნებათ მ.მ. მლალოჩინებს კუთვნილებიანამებრ  
დასარიგებლად და მასთან აუცილებელ მოვალეობად  
დაეკისრებათ, რომ საბუთის ქაღალდების შიცემის  
დროს გამოართვან სემინარიის მართველობიდან  
მათ მიერ გადატანილი დათხოვნის ბილეთები და  
მმართველობას გამოუგზავნონ.





# მწყმმსი



მე ვარ მწყმსი კეთილი: მწყმსმან კეთილმან სული თვისი დაუსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურადნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 7

1883—1894

13 აზრიდს.

შინაპრსი: ოფიციალური ნაწილი. მრევლის მღვდელთა სავალდებულო აღსასრულებლად.—თბილისის სემინარიის სამმართველოსაგან.


საღატკანტურთა განყოფილება: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!—რა საშუალებით შეუძლია მასწავლებელს თვით განკითხრება.—ცაგერიდამ.—ნეკროლოგი.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სასარგებლო ცოდნა, დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისაგან.—საექვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა ძესა დავითისასა!... ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგვ!“

«კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა ძესა დავითისათა!» ამ სიტყვებით დაღაღებდა ხალხი, რომელიც მიუძღოდა კაცებზე მჯდომარე იესო ქრისტეს მის უკანასკნელად იერუსალიმში შესვლის დროს. ღზარეს მკვდრებით აღდგინების შემდეგ ხალხი გაოცებული იყო იესო ქრისტეს ამ უდიდესი სასწაულით და მის აღტაცებას და სინარულს, რომ ღმერთმან მოუფლინა მათ მაცხო-

ვარი, საზღვარი არა ჰქონდა. იესო ქრისტეს იერუსალიმის ტაძრისკენ მოგზაურობის დროს აუარებელი ხალხი მისდევდა უკან. ეს ხალხი დარწმუნებული იყო, რომ იესო ქრისტე იყო აღთქმული მაცხოვარი და ამიტომ დიდ პატივსაცემდა მაცხოვარს. ღარიბნი ხის ტოტებს უფერდნენ იესოს გზაზე, ხოლო მდიდარნი—სამოსლებს. ყველას ბაიას რტოები ეყურა ხელში და დაღაღებდა «ოსანა ძესა დავითისასა!» მართლაც, ვის გულს არ შესძრავდა მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება, მისი სასწაულები და ცხოვრება?..

იესო ქრისტემ იერუსალიმის ტაძარში ნახა ბევრი უწესოება. თვითონ ტაძარში ებრაელებს გაემართათ თითქმის სავაჭრო ბაზარი. ფულე-





ბის დამხურდავებლებიც ტაძარში მოთავსებულნი იყვნენ და მტრედების და კრავების გამყიდველებიც. მღვდელ-მთავრები, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ყურადღება მიექციათ ამ უწესობისათვის. ხმას არავის სცემდნენ და ღვთის ტაძრას სავაჭრო სახლად გადაქცევა დიდ ცოლვად არ მიანდათ. იესო ქრისტემ გამოყარა ყველა იგინი ტაძრიდან. შემფოთებულნი ებრაელთა მღვდელ-მთავარნი გაჯავრდნენ და ამ დღიდან მოინდომეს იესო ქრისტეს ხელში ჩაგდება. როგორც კი ამისთანა აზრმა გაუფელა მღვდელ-მთავრებს, მაშინვე გაჩნდა იუდა, მიიღო მღვდელ-მთავართაგან ოც-და-ათი ვეცხლი და დაჰპირდა მათ, რომ იგი მალე შეიპყრობს ქრისტეს და ჩააბარებს მათ. იუდა ეწია თავის სურვილს, მიყუდა მაცხოვარი მღვდელ-მთავრებს ოც-და-ათ ვეცხლად. მღვდელ-მთავრებმა იწყეს გააძაბოთლება ქრისტესი, მაგრამ ბრალი ვერა უპოვეს რა. ებრაელების მღვდელ-მთავრებმა, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა გააზრახეს ხალხი, რომ რაც უნდა უთხრას მათ მოსამართლემ, მაინც მოითხოვონ იესო ქრისტეს ჯვარცმა. როდესაც პილატეს წინაშე წარსდგა აუარებელი ხალხი ებრაელების მღვდელ-მთავრებისა, მწიგნობრებისა და ფარისევლებთან ერთად მან, პილატემ ჰკითხა ხალხს, თუ რა ცოლვა უქმნია კაცს ამას? მაშინ ხალხმა აღიმალლა ხმა და შესძახა: ჯვან, აჯვან, ჯვანს აჯვან ეგე! ჭოი, საკვირველებე! თავის მაცხოვარზე, იმაზე, რომელიც მათ ბრძება თვალს უხელდა, სწეულთა ჰკურნადა, ხელ და ფეხ გამხმრებს არჩენდა, მკვდრებს აღადგენდა და რომელსაც საძილეს წინათ უმღერდნენ და მეფეთ გამოცხადებას უპირებდნენ, ღვთის ყველა ხალხი გაცოფებული ყვირის: «ჯვარს აცენ! ჯვარს აცენ ეგე? სისხლი მაგისი ჩვენზედა და შეილთა ჩვენთაზედა!»

გასაშტურებელი ამისთანა დაბრმავება ებრაელთა ხალხისა. ყოველივე ღონეს ხპარობდნენ იგინი, რომ თავისი მშვიდი მოძღვარი, მქადაგებელი, სასწაულოთ მომქმედი, სწეულთა მკურნალი და მაცხოვარი ჯვარს აცენ. ექვსი დღია წინეთ, რომელსაც

«ოსანნას» ულაღადებდნენ, ღვთის მის ჯვარცმას ითხოვენ!.. დიად, თუ კარგად გამოვიკვლიეთ ებრაელების მაშინდელ მდგომარეობას, მათ ზნე ჩვეულებას და მათ გონებით მდგომარეობას, დიდი გასაკვირველი არ არის ამისთანა მათი საქციელი მაცხოვრის შესახებ. თორმეტ მორწმუნე მოციქულშიაც გამოერია ერთი გამცემელი, იუდა ისკარიოტელი. დიად, სამწუხარო სურათია ყოველივე ეს.

მაგრამ, აი, იმ დროს აქეთ, რაც მაცხოვარი ხორციელად მოვიდა ქვეყნად ხალხთა გამოსახნვლად, სრულდება 1894 წელიწადი. გონებითი მდგომარეობა ხალხისა გასაოცრად წინ წავიდა. ქრისტეს სახარების სწავლამ მოვლო მთელი დედა მიწა... საზოგადოდ ქრისტიანთა რიცხვი ღვთის გამოანგარიშებით აღის ოთხას მილიონამდე. აბა, ჩავაკვირდეთ კარგად ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას და ჩვენს საქციელს. რამდენად განვსხვავდებით ქრისტეს დროის ებრაელთაგან ჩვენ, მეცხრამეტე საუკუნის ქრისტიანები, რომელთაც მივიღეთ წმინდა სახარება მაცხოვრისა და თავი მოგვაქვს ქვეშაირიტ ქრისტიანებად, ჩვენ რომელნიც ვსწყველით და ვვმობთ ფარისევლთა და მწიგნობართა...


რამდენია ჩვენ შორის იუდა ისკარიოტელი, რომელიც ფულების, დიდების და სახელის მოსახვეჭად აღვიღად ჰყიდის არა ერთსა, არამედ ყველა თავის მოძმეთა და მოყვასთა? რამდენია ჩვენში ღვთის, რომელნიც ეკლესიაში უწესობას ჩადიან? ებრაელები ტაძარში ჰყიდდნენ ეკლესიისათვის შესაწირავ ნივთებს და ეხლანდელი დროს ქრისტიანები ეკლესიების კარებს ამტვრევენ და სცარცევენ თვით ეკლესიას. ზოგიერთი ეხლანდელი დროის ქრისტიანები ამტკიცებენ, რომ მათ შეითვისეს ღრმად მაცხოვრის სწავლა: «შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი», მაგრამ საქმე სულ სხვანაირად მიდის. ერთი თემი მეორე თემის განადგურებას ლამობს, რომ თავისუფლად და არხეიანად იცხოვროს—სხვის სანაგაოზედ. რამდენ საფრხეს





უგებენ თავის მოყვასთა, რა ცალს არ სწამებენ, რას არ იკონებენ ზოგიერთნი მხოლოდ იმა მიზნით, რომ წინ ბიჯი წარსდგან და თავი გამოიჩინონ.

რამდენი ზარბაზნები, რამდენი თოფები და რამდენი ასაფეთქი ყუმბარებია დამზადებული თავის მოძმეთა და მოყვასთა გასაქლევად და დასაღუბავად! რამდენი ტყვია-წამალია დამზადებული ევროპაში თავიანთ მოყვას და მოძმე ქრისტიანეთა ასაოხრებლად და გასაქლევლად. დიად, დიდმა დ<sup>რ</sup>ომ გაიარა ქრისტეს ღრობის ფარისეველთა და მწიგნობართაგან, მაგრამ ჩვეულება ებრაელურა ისევე დარჩა და რით მოგვაქვს თავი, არ ვიცით!... იქნება სთქვას ვინმემ, რომ ჩვენში ყველანი ევეთები არ არიანო, არიან პატროსნებიცო. და ვინ იტყვის იმას, რომ ჩვენ ღროშიაც ყველა ფარისეველნი იყვნენ და კეთილი და პატროსანი არაფერ იყოს მათ შორის. მაგრამ ნუ დაიფიწყებთ იმას, რომ ქრისტეს ღროსაც იყვნენ იოსებ ნიკოდიმოსი და იოსებ არიმათიელი, რომელთაც უმეტესად სწამდათ იესო ქრისტე და მისი მოძღვრება, ვინემ ზოგიერთებს ახლა. ქვეშარიტად ჩვენც ხშირად ვიტყვიტ ხოლმე «ოსანნა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!» მაგრამ ჩვენის ქცევით და სიტყვიტ ხშირად უარსა ვყოფთ ქრისტესა და ებრაელების ბრბო ხალხთან ერთად დღესაც ჯვარს ვაცემთ მას!..



### რას საშუალებით შეუძლია მასწავლებელს თვით-განვითარება?

სიტყვა «თვით-განვითარება» ნიშნავს, როცა კაცი თავის საკუთარი გონებით და ფიზიკური ძალ-ღონით იძენს სწავლა-მეცნიერებას ერთ-ბაშად კი არა, თან-და-თან და ამზადირად ბოლოს შეიქნება ცოტათ თუ ბევრად სწავლით აღჭერვილი ადამიანი. რიგიანად თვით-განვითარება,

რასაკვირველია, იმას შეუძლია, ვისაც თავდაპირველად სხვისი ხელმძღვანელობით გაუკვალავს ეგლიანი გზა სწავლისა, და მას მხოლოდ ამ გზით სვლა დაარჩენია. ამ მხრით ჩვენ, მასწავლებლები, თითქმის ყველანი საკმაოდ მომზადებულნი ვართ, მამ ენლა დაგვრჩენია ჩვენი საკუთარი ძალ-ღონე მოვიზმართოთ და ჩვენი წმინდა მოვალეობის აღსრულებას და შესწავლას ერთგულად და მუყაითად შეუდგეთ. უწინარეს ყოვლისა, მასწავლებელმა უნდა მოიზოვოს ერთგული სიყვარული თავის მოწოდებისადმი, შემდგომ თავისი თავი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ საქმის რიგიანად წყევანისათვის თვით-განვითარება უსაჭიროესი საგანია (ზოგიერთი ვაჟ-ბატონები ბრძანებენ, მე სემინარისტ ვარ, აქ სახეში მაქვს საოლტატო სემინარია, გაკვეთილებისათვის როგორ მოვიმზადები, ნუ თუ «დედა ენა» არ ვიცით და სხვ.), და თუ ეს ორი თვისება მასწავლებელმა უკვე მოიზოვა, მას თამამად შეუძლია თქვას, რომ ჯეროვანი ნაბიჯი უკვე წადგა თვით-განვითარებისადმი, და ენლა მხოლოდ დაარჩენია ზრუნვა მასზედ, რა საშუალებით მოიზოვოს იგი.

ნათქვამია: «Уча другихъ — и учимся мы». მამასადამე მასწავლებელს თვალწინ უდგია მაგალითი თვით-განვითარებისა—ეს არის მისი მოწაფეები, რომლებიც დღითი-დღე გონებით წინ მიდიან და სულ სხვა-და-სხვა გვარ სულიერ საზრდოს ითხოვენ მისგან; აქედგან ცხადათ სჩანს, რომ მოწაფეების სწავლება პირველი საშუალება მასწავლებლის თვით-განვითარებისა. მუყაითი და ენერგიით აღჭერვილი მასწავლებელი, როგორც ვიცით, ერთ გაკვეთილსაც არ უნდა აძლევდეს მოუმზადებელი და მარად ქამს იმაზედ უნდა ცდილობდეს, რომ გასაგები—დაბიურის ენით, გადასცეს მოსწავლეებს ცოდნა და რაგი იგი საქმეს ასე გააჩადებს, უეჭვლად დროით—წინა დღითვე შეუდგება გაკვეთილების გეგმის, ანუ უკეთა ვსთქვათ, კონსპექტის შედგენას და ამ სახით მეორე დღეს პირნათლიანი მომზადებელი შევა კლასში. კონსპექტები, რასაკვირველია, ყოველთვის ერთნაირი შაბლონის არ იქნება, რის გამოც მასწავლებელი მისი შედგენის დროს უნებლოეთ ან სულ სხვაგვარ



ახალ ცოდნას შეიძენს და ან გადავიწყებულს წააწყდება—გაიმეორებს და ეს ხომ დიდი განძია მასწავლებლის თვით-განვითარებისათვის, ვინა- იდგან ცხადია, რომ განმეორება დედაა ცოდ- ნისა; გარდა ამისა, დამაკვირებელი მასწავლებ- ლის თვალი, თავის მოწაფეებისაგან, სხვაგვარ უფრო დიდ სასარგებლო ცოდნას იძენს: ის ხედავს, რომ ერთი მოსწავლე ბეჯითია, მეორე —ზარმაცი; ერთს მასწავლებლის გაჯავრება ზე ნშირად დასჯაც უნდება, მეორეს კი ვნებს— მთლად აფრთხობს; თუ ამის მიზეზები მასწავ- ლებელმა არ შეიტყო, ისე საქმეს გააფუჭებს ზე რომ ეს უკანასკნელი არ მოხდეს, ის ძალაუნ- ბურად იკვლევს საქმის ვითარებას და ბოლოს რამოდენიმე ხნის შემდგომ კიდევაც გაეცნობა თავის მოსწავლეების სულიერ მდგომარეობას, რაც უსაჭიროებისა სწავლებებში და თვით-განვი- თარებისათვის.

თუმცა ზოგიერთი შედაგოვები ამისი თა- ნახმა არ არიან, მაგრამ მე გამოცდილებამ და- მარწმუნა, რომ მოსწავლეებიდგან მასწავლებე- ლი თავის თავზედ გადადის, და მათგან ბევრ კაი თვისებას იღებს და ბაძავს მათ უმანკო- ცხოვრებას, რომლის მაგალითიც, თვით დვთა- ებრივმა მასწავლებელმა დაგვიტოვა, როდესაც ბრძანა: «ვინც ბავშვებსავით უმანკო და უცოდ- ველი არ იქნება, ის ვერ შევა სასუფეველში»-ო და სწორედ ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, ვინც დაკვირვების ბავშვების ცქრიალა და უღარდო სიცილით სავსე სახეს, ის უეჭველად დამე- თანხმება, რომ მასწავლებლისთვის მრავალ მხრით წარმოადგენენ ბავშვები მისაბაძავ საგანს; მათი ერთობა, ამხანაგობა და ხშირად ძმური სიყვარული ნუ თუ მასწავლებლისათვის ჭკუის სასწავლებელ საგანს არ შეადგენს? არ დავიჯე- რებ, რომ მასწავლებლის თვით-განვითარები- სათვის ზევით თქმულს ფასი არ ედვას. როდეს- საც მასწავლებელი თავის მოწაფეებს გაიცნობს და მათგან სასურველს შეითვისებს და მათი სუ- ლიერი მდგომარეობისამებრ თავის ნაკლულე- ვანებასაც აიცილებს, იგი მოვალეა, თუ კი სურს რიგიანი თვით-განვითარება, რომ თავის მოძმე- ების შთაბეჭდილებათა დაკვირებას და ყოფა- ცხოვრებას გაეცნოს კერძო და საზოგადო შე-

დაგოგიური საუბრების საშუალებით; ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ერთს გაეს არ შეუძლიან დაწვრილებით ბავშვების ყოველივე ვარეგანი და შინაგანი ცხოვრება გაიცნოს ზე გონიერი სწავ- ლების მეთადაც უნაკლულოდ, ზედ-მიწევნით შეისწავლოს და ყოველივე ბავშვების ცხოვრე- ბაში მოვლენილ ვარემოებას ჯეროვანი ყურად- დება მიაკციოს. ამისათვის საჭიროა, რომ ყო- ველი მასწავლებელი ცდილობდეს თავის მოძ- მეების შეხვედრას და მათთან შედაგოგიური სა- უბრების გამართვას და მათთვის გონიერი ყუ- რადლების მიქცევას. ამისთანა შედაგოგიურ სა- უბრებს თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მასწავლებლის თვით-განვითარებისათვის, ეს ყვე- ლასათვის ცხადია. ის, რასაც ერთი მასწავლებ- ლის ძალ-ღონე ვერ მორევია, შეერთებული ძალ-ღონით უეჭველად დათრუგნული იქმნება, თუ რამეში მასწავლებელს ეჭვი დაებადა ზე ვერ გამოურკვევია ჭეშმარიტება, ამასაც მასწავლებ- ლების შეერთებული ძალ-ღონე და ცოდნა გა- მოამკარავებს და ჭეშმარიტებას აღადგენს; ხში- რად საუბრის დროს ირკვევა მისთანა მოსაზ- რება, რომელსაც მასწავლებელი თვითონ ვერ მიაღწევდა და გარდა ამისა შედაგოგიური საუბ- რები მასწავლებელს ახალისებს და უდვიძებს სიყვარულს თავის მოწოდებისადმი და სხვა. და- სასრულ, მასწავლებლების ყურადღებას მივაქ- ცევ კიდევ ერთი ვარემოებისადმი, რომელსაც ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს თვით- განვითარებაში; ეს განდავსთ საშედაგოგიო წიგ- ნების და ყურნად-გაზეთების კითხვა ზე პატარ- პატარა სამეცნიერო წერილების და კორრეს- პონდენციების წერა. კითხვის სურვილი, ჩემის აზრით, ყოველთვის წერით გამოიწვევა ხოლმე; და პატარ-პატარა სამეცნიერო წერილების წერა უფრო ანვითარებს გაეს, რადგან, როგორცა ვსთქვი, წერას უსათუოდ კითხვაც მოჰყვება და მეორე, წერა ჩვენგან უმეტეს ტვინის მოძრა- ობას და აზრის დაწყობას თხოვილობს (გარდა გრამმატიკისა და ლოდიკის ცოდნისა), მინამ კითხვა, რომელიც თითქმის მზა მასალას გვაძ- ლევს და ჩვენ მხოლოდ დავრჩენია მისი გა- დადევნება. ყოველ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა კითხულობდეს მაინც—მხოლოდ მისთანა



საბეცნიერო წიგნებს, რომლებზედაც პედაგოგია არის დაფუძნებული; მაგალითად მასწავლებელმა უნდა იკითხოს ფსიქოლოგიური, ანატომიური, ფიზიოლოგიური და ჰიგიენური წიგნები. დასასრულს უნდა ვსთქვა, რომ სადაც სიყვარული სუფევს, იქაა ყოველივე სათნოება და ვინაც თავის თავი და მოყვასი უყვარს, იმას, რასაკვირველია, სხვათა შორის, თვით-განვითარებაც უნდა უყვარდეს, მით უმეტეს, რომ არავითარ სასწავლებელს არ შეუძლია გაცეს ის მისცეს, რასაც ცხოვრება და გამოცდილება აძლევს.

მთ.-დ. მ. ბუჩიძე.



### ც ა გ ე რ ი დ ა მ.

სულ რვა წელი იქნება, რაც ბ. კოსტანტინე ზ. ალშიბაია დაინიშნა ლეჩხუმის, მაზრის უფროსად. ამ ხნის განმავლობაში ბ. ალშიბაიამ დაიმსახურა სრული პატივის ცემა როგორც ამ მაზრის მკვიდრთა შორის, ისე თავის მთავრობისა.

დღეს ბ. ალშიბაია მთავრობამ გადაიყენა ოზურგეთის მაზრის უფროსად. ამ ამბავმა ძლიერ დააღონა ლეჩხუმელები. წარსული თთვის მარტის 22 რაცხეს ბ. ალშიბაიას პატივსაცემლად გამართულ იქმნა სადილი. ამ ნადიმზე თ. ქაიხოსრო გელოვანმა შემდეგი სიტყვით მიმართა ბ. ალშიბაიას:

#### მეგობრებო კონსტანტინე!

„დღეს, როდესაც თუ სამუდამოდ არა, დროებითად მაინც ვეთხოვებით და გისტუმრებთ ჩვენის მაზრიდან, სინიღისი ვალად მდებს მე ამ გამოამშვი-

დობების ჟამს რამოდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. თქვენს დანიშნებას და მობრძანებას ჩვენი მაზრის მმართველად ჩვენი საზოგადოება განურჩევლად წოდებისა საერთო მხიარულებით დაუხვდა, და წაბრძანებას თქვენსას კი, როგორც თვით ხედავთ, გულთაღის წუხილითა და ცრემლით...“

პირველს და მეორე გრძობასაც, ხალხის მიერ გამოხატულს, რასაკვირველია, თავისი საყურადღებო საფუძვლები აქვს: მხიარულებას საფუძვლად ედგა იმედები, რომ თქვენ ღირსეულად შესრულებდით ყოველივე იმ ვალდებულებას, რაც გონიერსა და ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველს მმართველს ვალად სდევს. ხოლო მწუხარება და ცრემლი, რომლითაც გარემოცული ვართ ამ ჟამად, უტყუარია ფაქტია მისი, რომ თქვენ ყოველივე ის, რასაც მოვლოდა ჩვენი მაზრა თქვენგან, უმეტესი ნაწილი მათის იმედებისა და მოლოდინისა მაინც გაგიპართლებიათ და შეგისრულებიათ. რვა წლის განმავლობაში, რომელიც განსაკუთრებულს თვალ-ყურს ვადევნებდი თქვენს მოღვაწეობას, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ, გარდა თქვენის ოფიციალურის მოვალეობის კანონიერად შესრულებისა სხვა მხრივაც მოღვაწეობდი ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და წარმატების გზაზე დადგომის შესახებ. თქვენ თითქო ალღოს იღებდით, რა მიზეზებით ვართ ჩვენ უკან დაჩენილი წარმატებისა და განვითარების გზაზე, რა გვაბრკოლებს, რა გვამდაბლებს და სცდილობდით ამ მიზეზების მოსპობას და თავიდან ამორებას ჩვენი ხალხისადმი.

მეცადინეობდით ხალხის ზნეობა ავმაღლებიათ საერთოდ, და აღმოგეტხვრათ ძირითეტურთ ყოველივე ის აზრი და მიმართულება, რომელიც ჩირქსა სცხებს ადამიანის კეთილ ზნეობას. სცდილობდით ხალხი გამოგვეციდებიათ და შთაგენერგათ მათს გულსა და გონებაში ინტერესი სწავლა-განათლების შეძინებისა და რწმენა მისი დიადი სარგებლობისა. იღვწოდით შესახებ მისა, რომ ჩვენში დაგემყარებიათ



ქვეშარტი ძმობა, ერთობა და სიყვარული და შეერთებულის ძმურის კავშირით დაესდგომოდით ცდამოღვაწეობას წარმატების გზაზე დადგომის შესახებ. მზად იყავ ბედისგან დაჩაგრულთ და გაჭირვებულთათვის მიგეწოდებია ქრისტიანული შემწეობა და დახმარება თვით შენის საკუთარის ჯიბიდანაც კი. შენ იყავ გულწრფელად მოყვარული ჩენის ხალხისა და სცდილობდი, რითაც კი შეგეძლო, სარგებლობა მოგეტანა რამ მათთვის, სწორედ ისე, როგორც კეთილი მამა იღწვის თავისი შვილებისა და ოჯახისათვის. ამნაირ მიმართულების მექონ მოღვაწეობით თქვენ აიგეთ ხელთ უქნელი, დაურღვეველი ძველი ჩენის მახრის ყველა შეგნებულ პირთა გულსა და გონებაში. რომლის მეოხებით არასოდეს არ დაგეუვიწყდება შენი სახელი. შემშარტად არაერთარი ჯილდო არ უნდა იყოს ისე ძვირფასი მოღვაწისათვის, როგორც ისეთი გულითადი სიყვარული და პატივობა ხალხისა, როგორც თქვენ მოიპოვეთ ჩენი მახრის მკვიდრთა მიერ.

გილოცავ გზას და ვისურვებ ახალს ადგილზედაც ვგრე სახელოვანი და ნაყოფიერი ყოფილიყოს თქვენი მოღვაწეობა, და ვგრე დაგემსახურებოთ იქაურ მკვიდრთა სიყვარული და პატივისცემა, როგორათაც ჩვენში...

იმედია ბ. ალშიბაია ოზურგეთის მახრაშიაც დაიმსახურებს ასეთივე სიყვარულს თავისი გამჭირვანი მოქმედებით. სწორეთ ასეთი კაცი იყო საჭირო ოზურგეთის მახრისათვის, სადაც აკვაცობა და ცარცვა-გლეჯვა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად შეიქმნა.

**ახნაური სვიმონ მამუჩარის ძე კორძაია.**

(ნეკროლოგი).

ამ წელს, იანვრის 28 რიცხვში სოფ. საჭილაში (სენაკის მაზრა) გარდაიცვალა ფრთად ღვთის მოშიში ღ

სადმითო სჯულის მოყვარული აზ. სვიმონ მამუჩარის ძე კორძაია შობიდაც 60-62 წლისა. განსვენებულს სასწავლებელში არ უსწავლია, მხოლოდ შინაურულად ქჭონდა შესწავლილი ქართული წიგნ-კითხვა და მეტადვე სადმითო წერილი. როგორც მტოდნე შარათაგან გამიგონია, განსვენებულს სვიმონს პატარაობიდანვე დიდი სასიკეთეს ქონია ღვთისა, ამისათვის მას მომეტებულად ქვეყნების სადმითო წერილების კითხვა და გადაკვც ისე შეესწავლა როგორც კითხვა ეგრეთვე საეკლესიო ტიბიკონია, რომ მას ერთა მედაკითხეთაგანა კერა აჯობებდა. თუმცა განსვენებული დიდი სასიკეთესის და მკამულის მამუჩარ კორძაიას შვილი იყო, მაგრამ იგი არ თაკილობდა ეკლესიაში სადმითო წერილის კითხვას და მღვდლის მოხმარებას. განსვენებული შახთ-კვირა დღეებში არ დასკვდებოდა როგორც წიგნსა ეგრეთვე მწუხრსა და ცისკარსა. ეკლესიაზე მოსკლა ადრე იტოდა. მოვიდოდა თუ არა, განსვენებული გახდებოდა განსვენებულს ხემ წინაშეადგილე მღვდელს, (მამა ხემს), რომელიც იდგა ეკლესიაზე, და მიმართავდა შექმდვის სიტუციით: «მამო, ნება გვიბოძეთ, თუ დრო არის, დაკრეკო». განსვენებული დაკრეკა წარს, გახდებოდა ეკლესიას და ესმარებოდა მღვდელს. ამნაირად იქცეოდა ის დეტალშვილებადის და შექმდვ დატოლშვილების თუმცა მან დაანება თავი ეკლესიაში წიგნებს კითხვას, მაგრამ ის ღვთის სიყვარული, შიში და სასიკეთეს ღვთისადმი კიდე უფრო სუფიკვად მის გულში უქანასკნელ დღემდის. განსვენებული სვიმონი არ შეიძლებოდა რომ კვირა-უქმ დღეებში წიგნს დაკლებოდა, და თუმცე შექმთსეკვის გამო სადმე გზაში დაჩნებოდა და მხვებოდა ეკლესიასთან გავლა და წიგნის დრო იქნებოდა, ის გადასტებოდა ცხენიდან, მოისმენდა წიგნს და შექმდვ გაქმარებოდა თავის გზას. მას ჩვეულებად ქჭონდა ეკლესიაზე ადრე მოსკლა, რომ წიგნს არ დაკლებოდა და თუმცე არ იქნებოდა წიგნს დაწეუული, ის მანც დადგებოდა ეკლესიაში თავის ადგილზედა, რომელიც ქჭონდა მას მიხენილი და იდგა იქ გაუწყველად. მისგან არ შეიძლებოდა ეკლესიაში მახედ მოსკედა ან დახმარავი, ის იდგა თავისთვის და მისი გრძნობა იყო მიქცეული კითხვას და ღვთის კედრებასა, ის წინა უვიდოდა



მკითხველს წარმოასთქმევდო სიტყვებით და ისიც ბეჭ-  
 ჯუკ მომხდარა, თუ რომელიმე პირი წასთებოდა კითხ-  
 ვაში, ის დაუჭიდეზღად გაასწორებდა, გინაიღვან ზედ  
 მიწკნათ იცოდა სადმითა წკრლი, განსკენებულს ჩვე-  
 ულებად ქქონდა, რცა განიცადენის დროს წაიკითხე-  
 ბოდა ქადაგება იმეკეთის კმისკომოსის გაბრეკლისა, ის  
 ხშირად წიწვის შემდეგ გამითხროდა ნებასთვას, წაი-  
 ლებდა თავის სახლში ამ ქადაგების წიგნს და ცოლ-  
 შვილში წაიკითხავდა. რცა განსკენებული გამკვიდო-  
 და ეკვლეისიდან, მესალმებოდა კუთხე მკონობლებს და  
 ანკითასის მონაწილეობას ან მიიღებდა ეკვლეისაზე  
 ხალხის მუხათაში, მაშინვე გაეშურებოდა თავისი სახ-  
 ლისაკენ. ამნაირი იყო მისი მოქმედება უქმე დღეებში,  
 მაგრამ ის საქმის დღეებშიაც ან სტოკებდა ღვთის კედ-  
 რებს. განსკენებულს თავის კოში ქქონდა კარის ე-  
 კვლეისი (საჯარე), დამუარებული მამა მისას მამუნჩის  
 მიერ, რმლის სიკვდილის შემდეგ ის იმავე სიტუაქიზით  
 და პატრიის ცემით უკლიდა ამ საჯარეს რცოგორც შე-  
 კენის ეკვლეისას; ის უიღულობდა წმინდა თაფლას სან-  
 თელს, ხამასხამდა, შედიოდა თავის ეკვლეისაში უო-  
 კელ მუდამ დღე დღით და სადამითი, ან-  
 თებდა სანთელს და დანოქილი დიდხანს ეკვდრებოდა  
 დმერთს. უოკელ წლობით განსკენებული ამობოდა აღსა-  
 რებს და მიიღებდა წმიდა საიდუმლო ზიარებას. რ-  
 სამ წინადადებას ან გეტყოდა, რომ რამე იგავი ან  
 კოქვა წმიდა სახარებადამ, თსალმუნდიამ და სხვა წიგ-  
 ნებდაამ; ამასთან ის ძრეკელ შჩრამის მოკვარული იყო.  
 ასეთი ღვთის მოშიში კაცი დავილდობული იყო ღვთი-  
 საგან ამ სოფლად. მას მინიქა დმეთთა ეგრეთვე სათ-  
 ნო ცოლშვილი, რცოგორც შეშკენიდა მას. მან თავისი  
 სიცოცხლე თავის ცოლშვილში დიდს საყვარულში,  
 პატრიისცემში და მშვიდობიანობაში გაატარა, მას დანხა  
 კარგი ოჯახი უოკვლისფრით სავსე. განსკენებული უკა-  
 ნასკენელ წამშიაც დიღს ღვთას კედრებაში იყო და გა-  
 ნუწყვტელ პირჯვრის წკრში განუტყვა სული. განს-  
 კენებულს დანხა ცოლი და რჩი კაყო 21 და 18 წლისა.

განსკენებულის სკიმინის ჩვეულებრივი ტირილის  
 დღე დანიშნული იყო ოთხს თებერვალს, სადაც მამატი-  
 ყებულნი ბრძანდებოდენ უოკლად სამღვდელონი გუჩია-  
 სამეკვლელს ეპისკომოსი გრიგორი და იმეკეთის ეპის-  
 კომოსი გაბრეკლი. ტირილას დღეს მწარეკელი ბრძან-  
 დებოდა მათი მეუფება გაბრეკლი, შემდეგ წიწვისა  
 შუადღის პირველ საათზედ მობრძანდა მათი მეუფება  
 გრიგორი და მიცვალებულის ანდერძის აკება რცივე

მწუქსთ-მოავრება ერთად ინებეს. მეორე დღეს, ხუთს  
 თებერვალს მიცვალებულის სულისათვის მწარეკელი ბრძან-  
 დებოდა მათი მეუფება გრიგორი; წიწვის შემდეგ მათმა  
 მეუფებამ მიცვალებულს: გადახდა მცირე პანაშვიდი.  
 მიცვალებული დასაფლავეს ადგილობრითა (ხანსტოურის)  
 წ. გოგორის ეკვლეისი კოში, რმლის სასაფლაო-  
 ზე ჭირისუფალს განზრახვა აქვს აგოს ქვათკანის  
 სამრეკლო, რმლის ბაჯარეკი ვადენ ამოიყვანეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ნეტარსსენებულ-  
 ღვთის მოშიშო, სადმითა სჯულის მოკვარულა და  
 კაცთა ღმობიერო მონაო ღვთისაჲ სკიმინ!

მღვდ. დომიდე ხონელიძე.

**პატრიოსნება.**

ნეტარ არს იგი, ვინც წმიდის გულით  
 ასრულებს და სწამს ეს ღიღი მცნება,  
 უპირველესი ამ ქვეყანაზედ  
 მცნებათა შორის, პატრიოსნება.

იგი ჰქალაგა თვით მაცხოვარმა,  
 მისთვის მიიღო მან ჯვარზე ვენება,  
 რომ დაგვემარხა საშვილიშვილოდ  
 გადასაცემად, პატრიოსნება!

იგია თავი ყოვლის კეთილის,  
 ყოველთ ავ-კარგი მით აიხსნება!  
 თუქვა ხმენა სიტყვების ტკბილის,  
 თუ კაცს არა აქვს პატრიოსნება!

რაც ღიღი იყო, კაცო, ამ სოფლად  
 დღე-მუდამ იყოს შენი ხსენება,  
 ვერ დასტოვ სახელს შეურცხვენელად,  
 თუმც წინ არ გიძღვის პატრიოსნება!

თუნდაც მცირე ხარ, ღარიბ-ლატაკი,  
 დღითი დღე ლუკმა არ გეშოვნება,  
 მაგრამ იშრომე, ძმაო, და თან კი  
 გაყიდეს მეგობრად პატრიოსნება!

რაა სიმდიდრე? რაა ღიღება?  
 თუმც სიკვდილთანვე თან დაგაკვდება?  
 მიხედი! აქედგან არა გაგყვება,  
 თუ არ ეს წმიდა პატრიოსნება!

თეოდ.—ნადი.



თ. ნ—ს.

კალხას პარნასთან გილოცავს,  
 გწყალობდეს მისი მანქანა!  
 ალბათ ეგ ნიჭი ციური  
 თქვენ იმან გამოგატანა.  
 «წადიო», გითხრა, მიხასკენ!  
 სიჩქარით გამოგაქანა:  
 არქვი, ამხილე, რომ «გულში  
 აღარ შეუშვას სატანა».  
 «ილოცოს ღმერთი, ახსოვდეს  
 მცნება უფლისა მასთანა,  
 და იქონიოს როგორმე  
 ხალხში ძმობა და გატანა». (!)  
 —სხვის დამრიგებელს არიგებ,  
 სხვა საქმე არა გაქვს განა?  
 ის როგორც მღვდელი ქადაგებს,  
 შენ რაღამ ავაყაყანა?  
 ნუ თუ შენც მისებრ არა გაქვს  
 სათეს-სამკალი ღვთის ყანა?  
 სჯობს მას მიბაძო, ღვთის სიტყვა  
 ცოცხლად დახატო ხალხთანა...  
 მიზანს ასცილდე, გზას აცდე,  
 მოაწონია ეს განა?  
 ან კიდე ლექსი გგონია  
 თუ თქვი—სატანა, გატანა?!

რ. საჯახნელი.

ასალი ამბები და შენიშვნები.

მადლობა ღმერთს!

კავკასიის სამოსწავლო ოლქის უკანასკნელს  
 ცირკულიარში დაბეჭდილია თბილისის მეორე კლასი-  
 სიკური გიმნაზიის რჩევის ფრიად საყურადღებო  
 დადგენილობა გიმნაზიის მოსწავლეთა რეპეტიციების  
 და მასწავლებელთა სასყიდლოთ მეცადინეობის  
 შესახებ.

1) «ის შემწეობა, ნათქვამია ცირკულიარში, რომელსაც ზოგიერთი რეპეტიტორები უწევენ მოწაფეთა გაკვეთილების მომზადების დროს, სრულიად მანებელია. \*) თითოეული საგნის სწავლება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ გაკვეთილის შინაარსი, რაც შეიძლება, ეველა მოწაფემ შეიტანოს. სახლში დასასწავლად მოწაფეს მართო ის უნდა მიეცეს, რაც კლასშივე უკვე აუხსნეს და განუმარტეს: მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ მათმა შვილებმა თავის დროზე და რაც შეიძლება თავის თავად მოამზადონ სახლში გატანებული გაკვეთილები; კერძო დახმარება მოწაფისადმი საჭიროა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალ. მოწაფის ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ და მაშინ, როცა მოწაფეს რაიმე მიზეზებისა გამო დიდხანს არ უვლია კლასში. ამიტომ რჩევამ საჭიროდ დაინახა სრულიად მოსპობს გიმნაზიის მოწაფეთათვის კერძო რეპეტიტორების დაჭერა გაკვეთილების წესიერად მოწყობით; რჩევა მოსწავლეთა მშობლებსაც უხსნის, თუ რამდენად მანებელია კერძო რეპეტიტორების დაქირავება. თუმცა საერო განათლების მინისტრის ცირკულიარული მიწერილობით, ჩვიდმეტი ნოემბრიდან 1888 წ., საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთ ნება აქვსთ იქონიონ კერძო გაკვეთილები და იმავე სასწავლებლების მოსწავლეთაც ასწავლონ, რომელს სასწავლებელშიაც ისინი მსახურებენ, და ყოველ შემთხვევაში მათ უნდა მიიღონ ნება-რთვა სასწავლებლის უფროსებისაგან. მაგრამ ამ მასწავლებელთა საქციელი ხშირად ხდება სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმის მიზეზად, რომელიც სასურველი არ არის არც ამ მასწავლებელთათვის და არც სასწავლებლის სახელისათვის.

ის მასწავლებელი, რომელიც სიყვარულით და ბეჯითობით შესდგამია თავის მოვალეობის კეთილსინდისიერად აღსრულებას და გულით ცდილობს

\*) სამწუხაროა, რომ აგეთი ცირკულიარი არ იყო გამოცემული 1889 წელში, როცა თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზიის ერთი მასწავლებელი ძალას მაყენებდა რეპეტიტორი დამეჭირა ჩემი შვილისათვის, რომელიც მე-VII კლასში სწავლობდა და მეხდა თვეში 30 მ. რამდენი უმტკიცე ამ მასწავლებელს, რომ VII და VIII კლასის მოსწავლეთათვის რეპეტიტორის დაჭერა სასაცნო და უსარგებლო-თქო. შეიძლება წინააღმდეგი იყო რეპეტიტორის დაჭერისა, რისთვისაც იგი კინაღამ სასწავლებლიდან არ გამოირიცხეს...

რედაქტორი.



მისდამი რწმუნებული მოწათფების წარმატებას, უსას-  
ყილოთაც აღმოუჩინეს თავის სუსტ მოწათფეს შემ-  
წილობას. ამიტომ სასწავლებლის რჩევის ყველა წევრი  
ვადგენთ არ ავიყენოთ კერძო სასწავლებლად არც  
ერთი მოსწავლე ამ სასწავლებლისა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი,  
აცნობებს რა ყოველივე ამას ყველა სასწავლებლების  
უფროსებს, სთხოვს მათ მიიღონ რაიმე ზომა, რომ  
მოწათფები ამხადებდნენ ვაკეეთილებს რეპეტიტორე-  
ბის დაუხმარებლად, რომელსაც სარგებლობის მა-  
გიერ ენება მოაქვს. საჭიროა კლასის მასწავლე-  
ბელმა (наставники) თვალ-ყური ადევნონ და  
შეიტყონ, თუ რა მიზეზისა გამო ვერ სწავლობს  
რომელიმე მოსწავლე და იძულებული ხდება კერძო  
რეპეტიტორი დაიჭიროს.

\* \*

გაზეთები გვაცნობენ, რომ სასულაურს უწეებს  
უოკელ წლებით მიეცემა 100,000 მანეთი რუსეთის  
უკვლას სასულაურს სასწავლებლების მდგომარეობის გა-  
საუმჯობესებლად.

\* \*

ჭუთაისის ოლქის სამსაჯულოს დადგენილობით  
დათსოვნილ იქმნენ ნათიცი ვეჭილის თანამდებობიდან  
ბ. კალისტრატე ჩიკვაძე, თავმჯდომარე ჭუთაისის  
სათავდაზნაურთა ბანკისა და ამავე ბანკის სამმართვე-  
ლოს წევრი ბ. ივანე ჯიანია. ოლქის სამსაჯულო თავის  
დადგენილობის საბუთად იმას ასახელებდა, რომ ნათიცი  
ვეჭილს არ შეუძლია რაიმე დაწესებულებაში ჯამაგირიანი  
თანამდებობა ეჭიროს. ბ.ბ. ჩიკვაძემ და ჯიანია სა-  
ჩიკარი შეიტანეს ჭუთაისის ოლქის სამსაჯულოს დად-  
გენილობაზე თბილისის სამსაჯულო პალატაში. პალა-  
ტას განუხიდავს ეს საჩიკარი და, როგორც გაზეთი  
«Нов. Обоз.» გვაცნობებს, ჭუთაისის ოლქის სამსა-  
ჯულოს დადგენილობა გაუუქმებია.

\* \*

დავით აღმაშენებლის მეკლას დასადგმელად და  
სამღვდულად განსაზღვრულად და წმ. მიწაშეთა  
დავით და კონსტანტინეს კუბოს მისამართებლად  
«მწეჴმისა»-ს რედაქციამ მიიღო უგანთლებულება განიან  
ნიდიტორ ბეგნატიონისაგან ორსა მანეთი. ამ ფულე-  
ბისა იუო დღემდე 2804 მ. 52. ამანათ შესდგა  
3004 მანეთი და 52 გ.

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## დარიკება მეფუტკრეობის დაწესისათვის

(დასასრულა \*)

უმთავრესი თაფლის საზოგრობის დროს, თუ  
სკები გათანასწორებული არიან ღონით და ყრა გა-  
თავებულია, მეფუტკრე უნდა უკვირდებოდეს, რომ  
ფუტკრებს საკმარისი ალაგი ჰქონდესთ სკაში თაფლის  
შესანახავად. ცხელ ამიდებში, რომ არ დასცხეთ  
ფუტკრებს, ყველა თელები უნდა გააღოთ და ჯურ-  
ჯუტანებიც გაულუწელი დასტოვოთ. დასაშლელ  
სკებში აღიდებენ ბუდებს და აღებენ სათაფლე გან-  
ყოფილებას, თუ აქვს უკანასკნელი სკას. როფებს  
თაფლის გამოჭრის მეტი არა უნებრდება რა.

რადგანაც ფიჭის შენებაზე თაფლის ზიდვა უფ-  
რო სასარგებლოა, ამისათვის ფიჭვის წახდენას ძა-  
ლიან უნდა ვერიდებოდეთ და კარგ საზოგრობის  
დროს საქმეში ეხმარობდეთ; ის უნდა ჩაუდგან მაშინ  
ფუტკრებს და ძალიან ადვილად გაავსებენ თაფლით.  
ცხლა რადგანაც ბარტყობა სუსტდება და მონაერის  
გაშენებაზე ფუტკრები აღარ ფიჭობენ, მონაერის  
ფიჭაც გამოხადეგია, განსაკუთრებით იმ წლის (ახა-  
ლი) დედოიანი სკებისათვის.

რომ არ დაამტკიონ და არ წახდინონ თეითონ  
ის ფიჭებიც, რომლებშიაც თაფლი ასხია, მოიგონეს  
ჯარა (ცენტრობეჴა), რომლის საშუალებით თაფლი  
ფიჭისაგან ისე გამოდის, რომ თეით ფიჭის ნაშენობა  
რჩება მთელი და ხელახლა შეიძლება ჩაიდვას. ჯარა  
გამოხადეგია მხოლოდ ჩარჩოიან სკებისათვის. ის  
იმითა კიდევ სასარგებლო, რომ თაფლის ამოდება  
შეიძლება ფიჭის სრულიად თაფლის გავსებამდისაც,  
რადგანაც ფიჭა არა ხდება. ამით თაფლს მეტსაც  
ვიღებთ და უფრო წმინდასაც.

უნდა მივაქციოთ ყურადღება მას, რომ ნაშო-  
ვარი თაფლი არ იხარჯებოდეს, როგორც ზემოთა

\*) იხ. «მწეჴმისა»-ს № 4, 1894 წ.



ესტკეთ, ტყუილ-უბრალოდ. ის ფუტკრები, რომლებიც დაიბადებიან ხუთ კვირაზე გვიან, თაფლის უმთავრესი საშოვრობის დრომდე, აღარაფერს მოიტანენ იმ წელში, ამისათვის ამისთანა ფუტკრები ძლიერ არ უნდა გაშენდნენ. ამიტომ თუ სკა თაფლის უმთავრესი საშოვრობის დასაწყისს საშუალო იყო და საშოვრობის პირველ დროს სჩანს, რომ მასში ბარტყობა სძლევეს თაფლის გროვებას, სჯობია წაართვათ მას ღებო. ეს ღებო გამოდგება ხელოვნური ნაყრისათვის, სკა კი, სანამ იქ ახალი ღებო გამოტყდებოდეს, გალონიერდება თაფლით, რადგანაც ხელუხლებლად დარჩება ის საკვები, რაც ბარტყებს დასჭირდებოდა. ახალი ღებოს ბარტყობას შემდეგ დასჯაბნის ბარტყის სიმრავლე.

იმ შემთხვევაში, როდესაც სკა შემოდგომაზე უნდა მოიპოს, ე. ი. შეერთდეს სხვასთან, რადგანაც გამრავლება ფუტკრისა აღარ ესაჭიროებათ—წართმევა ღებოსი მიუცილებელი საჭიროებაა. აქ ძალიან უნდა გარიშობა იქნება მეფუტკრისათვის, თუ იმისთანა ფუტკრები გააშენა და იმათზე საკვები დახარჯა, როდესაც ისინი მისთვის საჭირო არ არიან. ღებო უნდა წაერთვას სამის ანუ ოთხი კვირის წინედ უმთავრესის საშოვრობის დრომდე. ამ დროს განმავლობაში ყველა ახალი ფუტკრები დაიზრდებიან, ახალი ღებო-კი ვეღარას მოასწრებს. მაშინ ფიჭა საკმაო იქნება თაფლისათვის, აგრეთვე მუქთამჭამლებიც ცოტა იქნებიან.

თუ ფუტკრებს აღარ ამრავლებენ, მაშინ თაფლის სიმრავლისათვის ასე იქცევიან: რადგანაც ძველი ღებო ამრავლებს მონაფრებს—მუქთამჭამლებს და კიდევ ნაყრობას, ამისათვის, დაიწყებს თუ არამის მონაფრის კვერცხის ღებას გაზაფხულზე, მაშინვე ამოიყვანენ სკილამ და მოსპობენ. მეფუტკრეს შეუძლია არ უყუროს მონაფრის კვერცხის ჩადებას, შეუძლია მას ღებო ამოიყვანოს სამის ანუ სამ კვირა ნახევრის წინ თაფლის უმთავრესი საშოვრობის დრომდე, მეათე ღებოს უნდა გასინჯოს აღნიშნული სკა, რომელშიაც მოსპობას ყველა სადღღოვეებს, გარდა ერთისა, თორემ თუ ერთზე მეტი იქნა სადღღოვე, ნაყარიც აუცილებელი იქნება. ფუტკრები სკაში ახალ ღებოს გამოიყვანენ, ის არც ღებოს გააშენებს და არც ნაყარს გაიყვანს სკილამ. ამით მრავალი ფუტკარი შეინახება სკაში უმთავრესი საშოვრობის დროისათვის და მეფუტკრეც ისარგებლებს.

სულ ყველაფერი ეს ითქმება იმასთანა ადგილებზე, სადაც ზამთრის პირს საშოვრობა არ არის; მაგრამ სადაც შემოდგომის საშოვრობაა, ფუტკრის სიმრავლეს გაზაფხულის დამლევს არ აქვს ცუდი მნიშვნელობა, მით უმეტეს რომ მონაფრის დროც აღარ არის, ბარტყობა მცირეა და თუ თაფლის საშოვრობა კარგია, უეჭველია მრავალი შეკრავდება.

**თაფლის მომცემლობა ადგილისა.**

უპირველესი მნიშვნელობა მეფუტკრეობაში უკავია ადგილს, სადაც გამართულია საფუტკრე. რადგანაც ფუტკრები თაფლის მასალას ჰკრებენ მცენარეებიდან, ცხადია, რომ თუ თაფლი არ არის ტყემინდვრებში, არ იქმნება არც სკებში. თუ რომელიმე ადგილას ფუტკარი იმაზედ მეტი იქმნა, რაც ბუნებაში თაფლი მოიპოვება, რასაკვირველია მეფუტკრე სარგებლობის მაგივრად იზარალებს. ამისათვის მეფუტკრემ ძალიან კარგად უნდა იცოდეს ადგილის მდგომარეობა და იმის შესაფერად ამრავლებდეს ფუტკარს. თაფლის მომცემლობა კარგია იმ ადგილებში, სადაც თაფლის ხეები, ხირგვები და ბალახებია და მომცემი თესლი.

**თაფლის ამოღება**

თაფლი უნდა ამოიღოთ თაფლის საშოვრობის გათავებისას. ყოველს შემთხვევაში, ის არ უნდა გადაადოთ აცივებამდის, მისთვის, რომ ფუტკრები ვეღარ მოასწრებენ რიგიანად მოწყობას ზამთრისათვის და ცუდათ იზამთრებენ. ჩვენი უბრალო მეფუტკრეები ან გამოსჭირან თაფლს ქვევიდგან შუამდის, ან სულ დაამსებენ (მაჰკვლენ) ოჯახს ძირიანად წყლით, თუ გოგირდის სუნით,—თაფლს, ბარტყებს და მკვდარ ფუტკრებს ერთად ჩაჭყრიან ქვებში. გამოჭრა თაფლის არ არის კარგი, მაგრამ ბევრად სჯობია სულ დახოცვას. ეს უკანასკნელი ნამეტან ბარბაროსულ ჩვეულებად უნდა ჩითვალოს ღმძლიერ საზარალოა პატრონისათვის.

გამოჭრა არ ვარგა იმისთვის, რომ საუკეთესო შენახულება ფუტკრებისა არის სკის სათავეში, პატრონი კი აჭრის ქვევიდგან ნახევრად ცარიელ ფიჭებს, ნაბარტყევს და შავს.

დახოცვა ფუტკრისა უგონობაა და სიბრყველ მართა იმისათვის კი არა, რომ სწყუდებიან ფუტკრები და ბარტყები, რომლებიც გაზრდაზე მრავალი



თაფლი დაიხარჯა ტყუილ-უბრალოდ და რომლებიც არ უნდა გაეშენებიათ მაინც. აგრეთვე არ ვარგა მისთვისაც, რომ მკვლარი ფუტკრიანი და ბარტყიანი თაფლი წამხდარია და ჰკარგავს თავის ფასს. ცხადია, უფრო სასარგებლო იქნება პატრონისათვის, თუ მას თაფლისათვის ფუტკრის დახოცვა სურს, მას საშოგრობის დრომდე წაართვას ღებო და როდესაც სკაში ბარტყები აღარ იქნება, გამოდგინოს იქიდგან ფუტკარი და სხვა სუსტ სკას მისცეს, თაფლი კი თვითონ მოიხმაროს. რომ სხვა სკებსაც არ შეაფაროს ეს ფუტკარი, მაინც ასე აჯობებს, მით თაფლი მაინც არ წახდება!..

დასახსნელ სკებში, რასაკვირველია, ადვილია თაფლის ამოღება: რომელი ფიჭებიც გვსურს, იმას ამოვაცლით. ბევრი თაფლის ამოღება, რომ ფუტკრებს საყოფი საკვები არ ღარჩეს, არ ვარგა. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ სკის სიმძიმე ფუტკრების ჩაჯენამდე. სკები უნდა აწონოთ მშრალ ამიდებში.

**წ ა მ თ რ ო ბ ა**

არ არის საჭირო ჩვენ თფილ ქვეყანაში ზამთრობის დროს ფუტკრები მოსცილდნენ იმ ალაგს, სადაც ზაფხულში იყვნენ. თუ სკები რამოდენიმედ სქელი მასალიდგანაა გაკეთებული, ცივი ქარების დროს გვერდებიც დაგლესილი აქვსთ და თვლებიც სულ ყველა არა აქვსთ გაღებული, სიცვიისაგან დაფარული იქნებიან. საფრენი თვლების პირზე მიათარებთ რამეს ისე, რომ ქარმა თავისუფლად არ დაიწყოს რბენა (სულ დაჰმანვა არ შეიძლება, უჰაერობით ფუტკრები დაიხოცებიან) და პირდაპირ მზე არ უნდა შესჩერებოდეს, რომ სინათლემ კარში არ გამოიტყუოს ფუტკრები, რომლებიც, შეიძლება, სიცვიის გამო ვეღარ შებრუნდნენ უკანვე და სრულებით გამოეთხოვონ სიცოცხლეს. გარდა საფრენი თვლისა, როგორცა ვსთქვით, ჯურჯუტანები უნდა გაილესონ გარედგან. რიგიანი უბზარი მასალით, მაგალითად, აყალოს, ნაცრის და ახალი საქონლის (ძროხის) ნაკლის ნასურით: ეს ნივთიერება მშვენიერად იზილება ერთად და არ სკდება.

ზამთარში ფუტკრები ჩუმად და წყნარად სხედან მშრალ ადგილას ფიჭებში თაფლის ახლოს, ნელ-ნელა სჭამენ თავის შენახულებას და რაც უფრო ცარიელდება ფიჭები, ისე უფრო ზევით იზევენ. ისინი ამ

დროს ან სულ არ იღებენ ხმას, ან და ტკბილად ზუვიან; როდესაც სკაზე დაარაკუნებთ, ხმაურობა მოისმის, მაგრამ მალე შესწყდება, ან ისევე იმაზე დასდგება, როგორც ისმოდა. როდესაც სკაში სხვა და სხვანაირი ხმები მოისმის და დიდხანს აღარ დამშვიდდებიან, ის ნიშნავს, რომ სკა უღებოა; თუ უბრალო ფოთლის მსგავსი შრიალი ისმის, მაშინ თაფლი აკლიათ; თუ არაერთი ხმა არ ისმის, გამოკრილია სკა. მიიმე ჰაერისა და ცუდი საქმლის გამო ფალარათი უჩნდებათ, სერიან სკას, ფიჭებს და გაზაფხულის პირზე ჰკედებიან ურიცხვი. განსაწმენდელი ნავეარლობა ერთადერთი უებარი საშუალებაა ამ ავეადმყოფობის წინააღმდეგ.

თუ გაზაფხულის პირზე სკაში სინოტივ არ არის, ბუდეს ობი არ აქვს მოკიდებული და არ არის გასერილი ფუტკრის ნაკელით, აგრეთვე მკვდრებიც ცოტაა, მაშინ სკა კარგადაა ნაზამთრი.

რ. ჩინლაძე

**საეჭვო კითხვების განმარტება.**

შეიძლება თუ არა სრული ლიტურდიის შესრულება დიდ-მარწვის შეიდეულ დღეებში მიცვალებულთა დმარწვისა და მოხსენებისა გამო?

ლაოდიკიის კრების მე-19 მუხლში ნათქვამია: «არ შეფერის დიდ-მარწვაში წმიდა პურას შეწირვა, გარდა შაბათისა და კვირა დღისა». ამ მუხლის განმარტების დროს დასახელებულია შემდეგი მიზეზნი: ცინაიდგან დიდი მარწვის სხვა დღეები დანიშნულია მონანებისათვის, და თვითთელი ჩვენგანი ვალდებულია ამ დღეებში მოინანოს თავისი ცოდვები და არ შესწყვიტოს ზრუნვა მათზე, აგრეთვე არც დღესასწაულები უნდა დაივიწყოს და მათ შესახებაც იზრუნოს, და სულიერი მხიარულება მიენიჭება მას თავის დროზე. \*)

\*) დიდი დღესასწაული დღეები უთანასწორდებიან ეკლესიის დიდ დღესასწაულებს; ამისათვის იმ დიდ დღესასწაულებში, რომელნიც დაემთხვევიან წმ. დიდ-მარწვის შეიდეულ დღეებში, გარდა პირველი და უკანასკნელი შეიდეულისა,



ტულის კრებამ მე-52 მუხლში დაადგინა, რომ დიდ-მარხვაში, გარდა შაბათისა, კვირა დღეებისა და წმ. ხარებისა შესრულებულ იქმნეს ლიტურგია „პირველ შეწირულთა ძღვენთა“. თეოდორე ვალსამონი აი როგორ განმარტებს ამ ახსნას: «დადგენილია, რომ მარხვის დღეებში თვითყულმა კაცმა ტირილით და ღვთის ევდრებით მოინანოს თავისი ცოდვები. ხოლო ღვთისადმი მსხვერპლის შეწირვა არის დღესასწაულობა; დღესასწაულობა კი არის სინაჲული. და როგორ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე დღეს კადეც ვიტროთ და კადეც ვიდღესასწაულოთ? ამიტომაც წმ. მამებმა დაადგინეს, რომ მთელი დიდ-მარხვის განმავლობაში არ იქმნეს მსხვერპლი, გარდა შაბათისა, კვირა და ხარების დღისა, ეინაიდგან ამ დღეებში ჩვენ ნაბრძანები გვაქვს ვიდღესასწაულოთ და არა ესტროდეთ, არ ვიმარხოთ და არც მუხლი მოვიყაროთ. პირველ შეწირულთა ძღვენთა შესრულებას ლიტურგია არ უნდა უწოდოთ, ეინაიდგან იგი არის გაგრძელება უკვე შეწირულისა და შესრულებულისა და მასზე აღორულებულია საღმრთო მოქმედება. ეინაიდგან წმ. ეკლესიისაგან აღკრძალული გვაქვს დიდ-მარხვაში საღმრთო ლიტურგიის ყოველ დღე შესრულება, იგივე ეკლესია გვიბრძანებს, რომ დიდ-მარხვის დროს მიცვალებულთა მოხსენება გადაეიტანოთ შაბათს და ხსნილის დღეებში; წმ. მოწაფეთა დაბადების დღეებს დღესასწაულობა დიდ-მარხვაში ნაჩვენებია შაბათს და კვირა დღეებში. დიდ-მარხვაში არ შეიძლება მოწამეთა დაბადების დღესასწაულობა, მათი ხსენება უნდა ვიდღესასწაულოთ შაბათს და კვირა დღეებში (ლაოდისის კრება, მუხლი 51). ვალსამონი ამ მუხლის განმარტების დროს აი რას ამბობს: წაიკითხე მე-52 მუხლი მე 6 კრებისა და მე-46 ამავე კრებისა, რომლებშიაც ნათქვამია, რომ მხოლოდ შაბათობით და კვირა დღეობით მთელი დიდ-მარხვისა შეიძლება სრული ლიტურგიის შესრულება, ხოლო დანარჩენ დღეებში სრულდება განახლების წირვა.

უნდა შესრულებულ იქმნეს სრული ლიტურგია (უქაზები უწ. სინოდისა 1857 წ. იანვრის 28 და 1861 წ., მარტის 18. უბელო დიდი დღესასწაული დღეებისა, გამოცემული უწ. სინოდის დადგენილობით 20 ნოემბერს—4 დეკემბერს 1891 წ. № 1957). მაგრამ უპირის დღესასწაულები, რომელნიც დაემთხვევიან დიდ-მარხვის იმავე დღეებში, სრულდება ლიტურგია „პირველ შეწირულთა ძღვენთა, როგორც ეს ნაჩვენებია არის 37 მ თავში უპირის შესახებ დარიგებაში.

მაგრამ რომ არაფერ იფიქროს, რომ დიდ-მარხვაში ვითომც წმინდანების ხსენების დღესასწაულობა წირვის შესრულებით აღკრძალულია, რადგან ეს დღეები არ შეადგენენ სამხიარულო დღეებს, ხოლო საჭიროა აკრძალულ იქმნეს მათი დაბადების დღეების დღესასწაულობა, ეინაიდგან ეს დღეები არიან დღენი მხიარულებისა და ამ დღეებში იკრებიებიან მორწმუნენი: ამიტომაც წმ. მამებმა დაადგინეს: «არც წმინდანების მოხსენების და არც მათი დაბადების დღეებში მთელი დიდ-მარხვის განმავლობაში არ უნდა იქმნეს შესრულებული დღესასწაული გარდა შაბათისა და კვირა დღეებისა. ამიტომაც მთელი დიდ-მარხვის განმავლობაში არც გარდაცვალებულთა მოხსენება შეიძლება გარდა შაბათისა.

წმ. კრებათა ზემოთ მოხსენებულ მუხლთა ძალით შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: ეინაიდგან მთელი დიდ-მარხვის განმავლობაში, გარდა შაბათისა და კვირა დღეებისა, აკრძალულია სრული ლიტურგიის შესრულება მოწამეთა ხსენების დღეებში, მით უმეტეს დიდ-მარხვაში არ შეიძლება სრული ლიტურგიის შესრულება მიცვალებულთა დამარხვისა და მოხსენების დღეებში. ამიტომ უსაფუძვლოდ უჯაერდებიან სამრევლონი თავიანთ სულიერ მწყემსთ, როცა ეს უკანასკნელნი უარს ეუბნებიან პირველთ სრული ლიტურგიის შესრულებაზე მიცვალებულთა დამარხვის ანუ მოხსენების შესახებ დიდ-მარხვაში; მრევლნი ხშირად უარს ჰყოფენ ეკლესიურ დადგენილობათ და ითხოვენ შესრულებულ იქმნეს სრული ლიტურგია მიცვალებულთა დასაფლავების, ანუ მათი მოხსენების დროს დიდ-მარხვაში. მართალია. წმ. ეკლესია პირველ შეწირულთა წირვის შესრულების დროსაც ევდრება დმერთს «უკვე გადაცვალებულ ჩვენ მამათა და ძმათათვის» ამასთანავე, მართლ-მადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც უმეტეს ზრუნავს თვითოველის ჩვენი ცხოვრებისათვის და რომელმაც თითოველ ჩვენთაგანზე უკეთესად იცის, რაც ჩვენთვის საჭიროა და სასარგებლო, მოგვცა ჩვენ წესები, რომლებითაც უნდა ვინდობდვანელოთ სარწმუნოების, კეთილ ცხოვრების და ღვთის თაყვანისცემის საქმეში.



### რედუქციის ჰასუსნი.

- ბ. ი. ჩხეიძეს. თქვენგან დასახელებული სისუსტე გავითითაც რომ არ გამოცხადდეს, მაინც ყველამ იცის. თქვენი ვაჟი რომ შუუფურებელ მდგომარეობაშია, ეს ყველასათვის ცხადია და ვაჟისთვის შუუფურებელ მდგომარეობაში მღვდელს რომ საზოგადოდ დიდი ბრალი სდევს—ესეც ყველასათვის ცხადია!...
- მასწავ. კაპ-შვილს. მასწავლებლებს ორივე გამოცემას უთმობთ სამ მანეთად და მეტი დაკლება შეიძლება? არც ერთ საზოგადოებას იმდენი ფულები არა აქვს თავის სკოლებისათვის, რამდენიც აქვს თქვენსას და რატომ არა სთხოვთ წინგოსაცავის გაწყობას... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენს შემდეგ თქვენგან ნათნოვარ წიგნებს თქვენი მოადგილე გარეთ გამოყრის და არც არავის წააკითხებს. ამიტომ გვერანება უბრალო ხარჯი...
- თოფ—ნადი. თქვენი ღია წერილი არ დაიბეჭდება.
- Tanius-ს. თქვენი ჰასუსნი არ დაიბეჭდება. მართალია, თქვენი მსჯელობა კანონიერი და სამართლიანია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმელობათი გამოაშკარავება. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ნკობელები ზეგრი გვყავს გარდა სასულიერო წოდებათა და ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე თქვენი ჰასუსნი, ყველა დარწმუნებულია, რომ უთუოდ ოდესმე მოკვდება, მაგრამ ღვთისგან დაფარულია დრო ჩვენის სიკვდილისა...
- მ. მ. გ—ს. თქვენი სტატია „სწავლა აღსარებისათვის“ არ იბეჭდება.
- გ. სა—ძეს. თქვენი სტატია „რამდენიმე აზრი ჰედაგოგიიდან“ არ იბეჭდება.
- მ. ა. ბა—ძეს. თქვენი მოძღვრება აღსარებისა და სინანულისათვის არ იბეჭდება.
- მთ. ბ—ძეს. თქვენი შენიშვნები არ იბეჭდება.
- ი. ან—ლი. თქვენგან გამოგზავნილი ლექსი არ იბეჭდება. საექვოთ მიგვაჩნია მისი არგინლობა...

### განცხადებანი.

#### სახელმძღვანელონი,

დაწერდნენ იაკობ გოგებაშვილის ძეგლ.

დედუ-მენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შეესებული გამოცემა, დაბეჭდილი

წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. შასი ისევე ექვსი შაურია, ყლით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... შინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყლით შპ კაპ.

ბუნების პარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყლით ოთხი-აბაზ უხალთუნი (90 კაპ.). უყლოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. შინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშენიერი სახელმძღვანელო მართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

მ მ მ რ ი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, შასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეკი.

მ მ ნ ს, საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, შასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ს მ მ ლ ი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, შასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, შასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იანანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებსათვის, შასი ორი შაური.

საბნის მიწმში? საყმაწვილო მოთხრობა, შასი ერთი შაური.



საქინების მამი საყმაწვილო. მოთხრობა მეფე მრეკლეს სურათით და ქართით, ფასი ორი შაური.

პირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ვნის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Объ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школь, а «Руководство для учащихся» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утверждениа Господина Главнначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15-3)

### იწამლეო!!!

კუხმინის სამკურნალო ბალახი «ეფედრა», რომელიც არჩენს ყოველგარ ქანკების სნეულებას, ბუსასღს, კუჭის და ნაწლევთა ავადმყოფობას, გულზე ხანანს, სველას, მუცლის ყაზმობას, და ყოველგვარ მუცლის აჯახობის ავადმყოფობას და ათამანგის ავადმყოფობასაც. ყოველივე ამას მოწმობს სამკურნალო გაზეთი ბოტკინისა 11 მაისიდან 1891 წლისა, «Недѣля» № 28, 91 წ. «Гражданимъ» № 268, 91 წ., «Русь» № 17, 94 წ. უკეთესია ეს ბალახი მაისში და შემოდგომაზე მოკრეფილი, რომლის ერთი გირვანქა ისყიდება 1 მანეთად. (გასაგზავნი ფული კი

ცალკე უნდა გამოიგზავნოს). მსურველს შეუძლია ეს ბალახი დაიბაროს ფოსტაში ფასდადებული ვალასახალით (наложеннымъ платежомъ). მყიდველს გაეგზავნება ვრცელი ღარიცება, ნებადართვით სამკურნალო გამგეობისაგან. ვინც რომ გირვანქა ეფედრას გამოიწერს, მას უფასოდ გაეგზავნება წიგნაკი ბ. პარტანსკისა, რომელმანც აღმოაჩინა ეფედრა. ამ წიგნაკის შემწეობით შეიძლება გაართვიოთ სამკურნალო ბალახი უბრალო და მანებელს ბალახისაგან. მიღებული მაქვს ბევრი მადლობითი წერილები იმ პირებთაგან, რომელნიც ამ ბალახმა სრულიად განკურნა ზემოთ აღნიშნული სენებისაგან.

მსურველნი უნდა მოიქცნენ შემდეგის აღრესით: Бузулукъ, Самар. губ. въ контору главнаго склада, «Федра» Ивана Матвѣева.

ეს არის მივიღეთ ყველაზე საუკეთესო ეფედრას ძირებიანად, რომლის გირვანქა ისყიდება სამ მანეთად.

(2-1)

შმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

### საზოგადოება ყუზლავს

1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოზუტდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება სამშითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი ავენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. შოსტის და დეპეშის აღრესი: Грүзенбергу Тифлисъ.

(15-12)